



პროექტი: „ინფორმირებული ახალგაზრდა ამომრჩეველი“

## პროექტის მიზნები და ამოცანები

სსიპ „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის“ მიერ 2018 წლის 8 თებერვალს გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ფარგლებში, საგრანტო საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით დაფინანსდა ა(ა)იპ „სამოქალაქო ინიციატივა-სამართლიანი არჩევნები“-ს პროექტი „ინფორმირებული ახალგაზრდა ამომრჩეველი“, რომლის მიზანს წარმოადგენდა ახალგაზრდა ამომრჩეველთა, ეთნიკური უმცირესობათა ახალგაზრდა ამომრჩეველებისა და შშმ ახალგაზრდა ამომრჩეველთა საარჩევნო და პოლიტიკური ცნობიერების ამაღლება, სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და თვითშეგნების დონის ზრდა.

- ახალგაზრდა ამომრჩეველების, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდა ამომრჩეველის, ასევე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ახალგაზრდების ინფორმირება სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების, პოლიტიკური და საარჩევნო უფლებების, საქართველოში სახელმწიფო მოწყობისა და არჩევითი ორგანოების ფორმირების წესისა (საარჩევნო სისტემები) და ასარჩევი სახელმწიფო ინსტიტუტის ფუნქციებისა და როლის შესახებ.



▪ ახალგაზრდა ამომრჩევლების, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდა ამომრჩევლის, ასევე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ახალგაზრდების ინფორმირება არჩევნების გზით ქვეყნის მართვის პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის მნიშვნელობის საკითხებზე და საარჩევნო უფლებების რეალიზების საკანონმდებლო მექანიზმებზე;

▪ ახალგაზრდა ამომრჩევლების, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდა ამომრჩევლის, ასევე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ახალგაზრდების ინფორმირება გენდერულ ასპექტებსა და თანასწორობის ხელშეწყობაზე.

ა(ა)იპ ”სამოქალაქო ინიციატივა-სამართლიანმა არჩევნებმა” მიზნად დაისახა ახალგაზრდებისთვის საარჩევნო ცნობიერების ამაღლების მიზნით საინფორმაციო კამპანიის ჩატარება ქ. თბილისში, ქვემო ქართლსა და კახეთში. ასევე, ისეთი ახალგაზრდების მოძიება, რომლებიც გამოირჩევიან აქტიურობითა და საარჩევნო პროცესებისადმი ჯანსაღი დამოკიდებულებით.



## განხორცილებული აქტივობები

პროექტი ხორციელდებოდა განსაზღვრული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად. ძირითადი მიზნებისა და ამოცანების ეფექტურად განსახორციელებლად პროექტი მოიცავდა რამდენიმე ეტაპს:


- მოსამზადებელი ეტაპი;
- ძირითადი ეტაპი;
- დასკვნითი ეტაპი.

*მოსამზადებელ პერიოდში (2018 წლის 01 მაისი - 2018 წლის 15 ივნისი)*

*განხორციელებულ იქნა შემდეგი ღონისძიებები:*

- პროექტით განსაზღვრული საკანცელარიო საქონლის შესყიდვა;
- პროექტის ყველა შემსრულებელთან გაფორმდა ხელშეკრულებები, ასევე სტამბის, საბუღალტრო მომსახურებაზე და სატრანსპორტო უზრუნველყოფაზე;
- ახალგაზრდებთან კომუნიკაციის გასაადვილებლად პროექტის ფარგლებში შემსრულებელთათვის შეძენილი იქნა სატელეფონო სასაუბრო ბარათები;
- შემუშავდა და შეიქმნა სახელმძღვანელო(ბროშურა), აგრეთვე დაიბეჭდა სერტიფიკატები, სარეკლამო-საინფორმაციო ბუკლეტები, სტიკერები, მაისურები, ბრენდირებული ბლოკნოტები.
- ტრენინგის ჩასატარებლად მოძიებულ იქნა საკონფერენციო დარბაზი.
- განხორციელდა კომუნიკაცია და შეხვედრები საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან.





*ძირითადი ეტაპი (2018 წლის 15 ივნისი - 2018 წლის 28 აგვისტო)*

15 ივნისიდან - 01 ივლისის ჩათვლით ორგანიზაციამ აქტიურად დაიწყო აპლიკაციების მიღება ორგანიზაციის ფეისბუქ გვერდის „სამოქალაქო ინიციატივა-სამართლიანი არჩევნები“ და ელ. ფოსტის [aaip.sisa@yahoo.com](mailto:aaip.sisa@yahoo.com) საშუალებით. ივნისი-ივლისის თვის მონიტორინგის გრაფიკის შესაბამისად, ორგანიზაციის თანამშრომლების მხრიდან სისტემატიურად ხორციელდებოდა შეხვედრები მოხალისე ახალგაზრდებთან (ახალგაზრდების შერჩევა/ კომუნიკაცია/გასაუბრება).

**16.06.2018-19.06.2018** ქ. თბილისი, ვაკე, ილიაუნის და სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორია

**22.06.2018-25.06.2018** ქ. თბილისი, საბურთალო, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და საქართველოს უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორია

**27.08.2018-28.06.2018** ქ. თბილისი ისთ-ფონთის მიმდებარე ტერიტორია

**30.06.2018** ქ. თელავი თელავის უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორია (უნივერსიტეტის ქუჩა)



**01.07.2018** ქ. რუსთავი ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორია (შარტავას ქუჩა)

**11.07.2018-12.07.2018** ქ. თბილისი სადგურის მოედნის მიმდებარე ტერიტორია

**13.07.2018-14.07.2018** ქ. თბილისი მეტრო „ახმეტელის თეატრის“ მიმდებარე ტერიტორია

შეხვედრები განხორციელდა ისეთ ადგილებში სადაც მასიურად იმყოფებოდნენ ახალგაზრდები. აღნიშნულ შეხვედრებზე ახალგაზრდებს მიეწოდებოდათ ინფორმაცია პროექტის მიზნებზე და ამოცანებზე, არჩევნების მნიშვნელობაზე და იმ პოზიტიურ შედეგზე, რომელიც ახალგაზრდების აქტიურ ჩართულობას მოაქვს.





### *ტრენინგები (2018 წლის 25 ივლისი - 02 აგვისტო)*

ორგანიზაციამ ქ. თბილისში სასტუმრო „ტიფლისი“ **25.07.2018-27.07.2018** და **31.07.2018-02.08.2018** უზრუნველყო სამ დღიანი ტრენინგების განხორციელება. მსმენელთა შერჩევა/რეგისტრაცია მიმდინარეობდა სოციალური ქსელების, ელექტრონული ფოსტის და შეხვედრების განხორციელების პროცესში შევსებული ანკეტების საშუალებით. ტრენინგზე დასწრების სურვილი გამოთქვა 50-მდე მსურველმა. ჩამოყალიბდა მსმენელთა ორი ჯგუფი. ტრენინგ-კურსში მონაწილეობა მიიღო 40-მა მონაწილემ, მათ შორის სამმა (3) შშმ პირმა.





ტრენინგის მონაწილეებს გადაეცათ სახელმძღვანელო/ბროშურა, ბლოკნოტი და კალმისტარი. ტრენინგებში მონაწილეთათვის ტრენინგების ჩატარება თანამედროვე ინტერაქტიული სწავლების მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, უზრუნველყო მაღალკვალიფიციურმა ტრენერმა.

### ტრენინგზე განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

- აქტიური მოქალაქეობა და არჩევნების გზით ქვეყნის მართვის პროცესში მონაწილეობის მნიშვნელობა;
- საქართველოში სახელმწიფო მოწყობისა და არჩევითი ორგანოების ფორმირების წესი (საარჩევნო სისტემები);
- საარჩევნო უფლებები და რეალიზება;
- გენდერული თანასწორობა არჩევნებში;
- მედიის როლი არჩევნებში;
- საარჩევნო ტექნოლოგიები და საერთაშორისო პრაქტიკა;
- არჩევნების პოპულარიზაციასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

სატრენინგო თემების სრულყოფისა და უკეთესად გააზრებისთვის ტრენერის მიერ წინასწარ შემუშავებული პრაქტიკული სავარჯიშოების შესაბამისად, ტრენინგის მონაწილეები ჯგუფურად ასრულებდნენ დავალებებს და აწყობდნენ თემატურ პრეზენტაციებს. მოგეხსენებათ, პროექტი ითვალისწინებდა ახალგაზრდების შერჩევას და გუნდის ჩამოყალიბებას „ახალგაზრდული დებატ-კლუბი 2018“-ისთვის.



ტრენინგის დასრულების შემდგომ ჩატარდა გამოკითხვა და მონაწილეებმა გააკეთეს შეფასებები სპეციალურად მომზადებული შეფასების ფურცლის შესაბამისად. მონაწილეებს გადაეცათ ტრენინგ-კურსის გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატები.





გრაფიკის შესაბამისად, ორგანიზაციის თანამშრომლებმა მოხალისე ახალგაზრდებთან ერთად, აღნიშნულ თარიღებსა და აღნიშნულ მისამართებზე

ჩაატარეს იმიტირებული არჩევნები (კენჭისყრის დღის ინსცენირება)

**11.08.2018** ქ. რუსთავი ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორია (შარტავას ქუჩა)



**12.08.2018** ქ. თელავი თელავის უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორია  
(უნივერსიტეტის ქუჩა)

**15.08.2018** ქ. თბილისი მეტრო „ახმეტელის თეატრის“ მიმდებარე ტერიტორია



## მიღწეული შედეგი

პროექტის განხორციელების შედეგად (ქ. თბილისი, ქვემო ქართლი და კახეთი) მნიშვნელოვნად გაიზარდა ახალგაზრდების ცნობიერება შემდეგ საკითხებზე:

აქტიური მოქალაქეობა და არჩევნების გზით ქვეყნის მართვის პროცესში მონაწილეობის მნიშვნელობა; საქართველოში სახელმწიფო მოწყობისა და არჩევითი ორგანოების ფორმირების წესი (საარჩევნო სისტემები); საარჩევნო უფლებები და რეალიზება; გენდერული თანასწორობა არჩევნებში; მედიის როლი არჩევნებში; საარჩევნო ტექნოლოგიები და საერთაშორისო პრაქტიკა; არჩევნების პოპულარიზაციასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. გაიზარდა სამიზნე ჯგუფის (ახალგაზრდა ამომრჩევლები, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდა ამომრჩევლები) არჩევნებში მონაწილეობის მოტივაცია და მონაწილეებს საშუალება მიეცათ უკეთ გაეცნობიერებინათ ის სამოქალაქო პასუხისმგებლობა, რომელიც აკისრიათ ქვეყნის განვითარებისთვის. პროექტის წარმატების ხარისხზე აგრეთვე მეტყველებს მონიტორინგისათვის სპეციალურად შემუშავებული მონაწილეთა შეფასების ფურცლები, რომელშიც ასახულია მონაწილეთა მიერ ტრენინგზე მიღებული ცოდნა, მისთვის საინტერესო ინფორმაცია და კმაყოფილების შედეგი.



ორგანიზაციას მიაჩნია, რომ პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგად სრულად განხორციელდა ის მიზნები და ამოცანები, რომელიც მას ქონდა დასახული.

კერძოდ, ახალგაზრდების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და ინფორმირება, რომელიც კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია.



მადლობა ყურადღებისთვის !

